



დამტკიცებულია 2016 წლის 5 აგვისტოს აკადემიური საბჭოს მიერ ოქმი #16-16

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრიატის პროგრამა

დისციპლინური და აკადემიური მოთხოვნები სოციალურ მეცნიერებათა სკოლის
სტუდენტებისათვის

1. დაუშვებელია სტუდენტის მიერ ლექციაზე დაგვიანება: როგორც ლექციაზე დაგვიანების, ასევე ადრე წასვლის შემთხვევაში ლექტორი უფლებამოსილია, გაუფორმოს სტუდენტს გაცდენა.
2. სტუდენტს არ აქვს უფლება ლექციისა და გამოცდის მსვლელობისას ისარგებლოს მობილური ტელეფონით, სხვა სახის ტექნიკური საშუალებებითა და ნებისმიერი სახის დამხმარე მასალით, თუ ეს არ არის ნებადართული ლექტორის მიერ. ლექციის/გამოცდის მსვლელობის დროს ამგვარი საშუალებების გამოყენების შემთხვევაში, სტუდენტი ტოვებს ლექციას/გამოცდას.
3. გამოცდის მსვლელობისას სტუდენტს არ აქვს უფლება, დატოვოს აუდიტორია.
4. დაუშვებელია დერეფანსა და აუდიტორიებში სიგარეტის მოწევა. ამ დისციპლინური ნორმის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტის საკითხი განიხილება დეკანატის წინაშე.
5. როგორც ლექციის მსვლელობისას, ისევე შესვენებების დროს სტუდენტი ვალდებულია დაიცვას ეთიკური ქცევის ნორმები, არ შეუშალოს ხელი სასწავლო პროცესსა და ადმინისტრაციის მუშაობას. ეთიკური ქცევის ნორმების დარღვევის შემთხვევაში თითოეული სტუდენტის საკითხი განიხილება დეკანატზე (იხ. ქცევის კოდექსი).
6. საგნის საკონტაქტო საათების 33% გაცდენის შემთხვევაში (ნებისმიერი - საპატიო თუ არასაპატიო) სტუდენტს გაუფორმდება არადამაკმაყოფილებელი შეფასება (F)
სტუდენტი ვალდებულია, აღნიშნული საგანი გაიაროს თავიდან შესაბამისი გადასახადის გადახდის შემდეგ (საგნის კრედიტის ღირებულების ოდენობით; 1 კრედიტის ღირებულება შეადგენს 83 ლარს. შესაბამისად 4 კრედიტიანი საგნის თავიდან გავლის ღირებულება არის 332, 5 კრედიტიანის - 415, ხოლო 6 კრედიტიანის - 498 ლარი)
7. საგნის - “ინგლისური ენა” საკონტაქტო საათების 20% გაცდენის შემთხვევაში (ნებისმიერი მიზეზით - საპატიო თუ არასაპატიო) სტუდენტს გაუფორმდება არადამაკმაყოფილებელი

- შეფასება (F), რადგან უცხოური ენის დაუფლება მოითხოვს სისტემატურ დასწრებას და აქტიურ ჩართულობას სემინარებზე.
8. საშუალო ქულაზე ნაკლები (GPA 2,3) დაგროვების შემთხვევაში, სტუდენტს არ აქვს უფლება დაიცვას სადიპლომო ნაშრომი.
 9. სტუდენტი, შუალედურ გამოცდაზე ჩაჭრილად ითვლება, თუ მან ვერ გადალახა შუალედური გამოცდის შეფასების 50% ;
 10. სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე ჩაჭრილად ითვლება, თუ მან გამოცდაზე ვერ გადალახა ფინალური გამოცდის შეფასების 50%.
 11. გამოცდის მსვლელობისას ნებისმიერი სახით გადაწერის, კარნახის, ლექტორის და სტუდენტებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში, სტუდენტი დატოვებს აუდიტორიას და მისი ნამუშევარი არ შეფასდება.
 12. გამოცდის საპატიო გაცდენის შემთხვევაში (სამედიცინო ცნობა, ფორმა 100) სტუდენტს ეძლევა გამოცდის გადაბარების უფლება.
 13. პლაგიატის შემთხვევაში სტუდენტი იღებს საყვედურს და არადამაკმაყოფილებელ შეფასებას (F) საგანში/სადიპლომო ნაშრომში. სტუდენტი ვალდებულია, შესაბამისი გადასახადის გადახდის შემდეგ (საგნის კრედიტის ღირებულება) დადგენილი კურიკულუმისა და ცხრილის შესაბამისად თავიდან გაიაროს საგანი.
სადიპლომო ნაშრომში (F) შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია, სადიპლომო ნაშრომის თავიდან დაცვის საფასურის (1000 ლარი) გადახდის შემდეგ, თავიდან დაწეროს სადიპლომო ნაშრომი. სასწავლო პროცესის განმავლობაში პლაგიატის განმეორების შემთხვევაში, აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.
 14. აკადემიური თაღლითობის (გადაწერა სხვა სტუდენტებისაგან, ლექტორთან შეუთანხმებლად ნებისმიერი დამხმარე მასალისა თუ ტექნიკური საშუალებების გამოყენება, კვლევის მონაცემების გაყალბება და სხვა არაეთიკური საქციელი) ჩადენის შემთხვევაში, საკითხი განიხილება სკოლის აკადემიურ საბჭოზე, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისთვის შემდგომი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. ჩადენილი საქციელის სიმძიმიდან გამომდინარე, აკადემიური თაღლითობა შესაძლოა გახდეს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.
 15. სტუდენტი ვალდებულია, დაიცვას და შეასრულოს ლექტორის მიერ სილაბუსით დადგენილი წესები და მოთხოვნები; ჩააბაროს დავალებები და გამოცდები ლექტორის მიერ სილაბუსის მიხედვით დადგენილ ვადებში.
 16. განსაკუთრებული შემთხვევების დროს, გამოცდაზე არგამოცხადების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია წერილობით აცნობოს ადმინისტრაციას. ასეთ შემთხვევაში, თითოეული სტუდენტის შემთხვევა განიხილება დეკანატზე.



17. საგანში არადამაკმაყოფილებელი ნიშნის მიღების შემთხვევაში (FX) სტუდენტს აქვს უფლება გადააბაროს გამოცდა, ადმინისტრაციის მიერ დადგენილი გრაფიკის მიხედვით. თუ სტუდენტი აღნიშნულ დღეს არ გამოცხადდება გამოცდაზე, მას ავტომატურად გაუფორმდება F.
18. საგანში არადამაკმაყოფილებელი ნიშნის მიღების (F) ანუ ჩაჭრის შემთხვევაში სტუდენტს აქვს უფლება, ხელახლა გაიაროს საგანი მისი საფასურის (საგნის კრედიტის ღირებულება - 1 კრედიტის ღირებულება შეადგენს 83 ლარს)) გადახდისა და გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემდეგ. სტუდენტი შეძლებს მოცემული საგნის ხელახლა გავლას იმ დროს, როდესაც ის იქნება დაგეგმილი სასწავლო ცხრილში.
19. სტუდენტს შეუძლია სემესტრის განმავლობაში გამოტოვოს საგანი/ები, ამისათვის მან უნდა დაწეროს განცხადება პროგრამის ხელმძღვანელთან ადმინისტრაციაში საგნის დაწყებიდან არაუმეტეს 21 დღის ან შუალედური გამოცდის შეფასების გაცნობიდან არაუმეტეს 7 დღის ვადაში. საგნის გამოტოვების შემთხვევაში სტუდენტი არ მიიღებს შეფასება F-ს გამოტოვებულ საგანში.
20. ერთი სასწავლო წლის განმავლობაში ჯამში 3 (სამი) არადამაკმაყოფილებელი შეფასების (F) მიღების შემთხვევაში, სტუდენტს შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.
21. სადიპლომო ნაშრომში (F) მიღების შემთხვევაში სტუდენტს აქვს უფლება შემდეგ წელს დაიცვას დიპლომი შესაბამისი თანხის (1000 ლარი) გადახდის შემდეგ; თუ განმეორებითი დაცვის შემთხვევაში სტუდენტი ისევ 'F' მიიღებს, მას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.
22. ნებისმიერი სახის ცნობის მიღებისათვის სტუდენტმა ადმინისტრაციას უნდა მიმართოს 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე.
23. სტუდენტი ვალდებულია, გადაიხადოს სწავლის საფასური ხელშეკრულებით დადგენილი გრაფიკის მიხედვით.
24. სტუდენტი ვალდებულია, დაესწროს ადმინისტრაციის მიერ დანიშნულ შეხვედრებსა და სემინარებს, როგორც მოწვეულ სტუმრებთან, ასევე ინსტიტუტის ადმინისტრაციასთან. არასაპატიო, დაუსაბუთებელი მიზეზით გაცდენის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება საყვედური და მისი საკითხი განიხილება დეკანატზე.

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის

სოციალურ მეცნიერებათა სკოლის

დეკანი

ნესტან ციციშვილი